

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების პრიორიტეტები

ბოლო წლებში დასახული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის, რითაც თავის მხრივ გაუმჯობესდება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა, შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები, განვითარდება კულტურის, დასვენებისა და სპორტის სფეროები.

2021-2024 წლებში მუნიციპალიტეტის სტრატეგია უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, სოციალური პირობების გაუმჯობესებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია;
2. დასუფთავება და გარემოს დაცვა
3. განათლების ხელშეწყობა;
4. კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდობისა და სპორტის სფეროს ხელშეწყობა;
5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

პრიორიტეტი (1): ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 02 00)

პრიორიტეტის აღწერა (სამოქმედო გეგმა):

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, რაც ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება ქალაქის, დაბისა და სოფლების, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია. გარდა ამისა, პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

(ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	14 196,4	28 046,2	18 836,7	15 614,5
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა- რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	4 646,4	10 328,5	5 149,5	5 169,5
02 02	გარეგანათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	1 050,0	1 400,0	1 329,3	1 100,0

02 03	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	1 379,0	1 303,9	1 312,2	1 400,0
02 04	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	4 254,8	13 263,8	10 295,7	7 945,0
02 05	სანიაღვრე არხებისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა- რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	2 866,2	1 750,0	750,0	-

**პროგრამა (1.1): საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-
შენახვა (პროგრამული კოდი 02 01)**

პროგრამის აღწერა:

- ქალაქ ქობულეთში რეაბილიტირებული ქუჩების, გადასასვლელებისა და ტროტუარების მდგომარეობის შენარჩუნება;
- ქალაქ ქობულეთში ქუჩების კეთილმოწყობა;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტით (ავტობუსებით) მომსახურება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

- ქვეითად მოსიარულეთა და ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილება;
- კეთილმოწყობილი ქალაქის ქუჩები.

**პროგრამა (1.2): გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია
(პროგრამული კოდი 02 02)**

პროგრამის აღწერა:

- დღე-ღამის განმავლობაში მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელი პირობის შექმნა;
- ენერგიის დაზოგვისაკენ მიმართული ღონისძიებების, განათების თანამედროვე წყაროების, ეფექტური ოპტიკური სისტემების, კონსტრუქციებისა და მასალების გამოყენების დანერგვა, აგრეთვე შუქტექნიკის პრაქტიკაში შუქდიოდების აქტიური დანერგვა;
- ქუჩების განათება;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკონომიური გარე განათების მოწყობა შეძენა/მონტაჟი;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების წერტილების მოწყობა და არსებული ქსელის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ღონისძიებები;

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

განათებული ქალაქის ქუჩები, დაბისა და თემის ცენტრები.

**პროგრამა (1.3): წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია
(პროგრამული კოდი 02 03)**

პროგრამის აღწერა:

- მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფა;
- სოფლების წყალსადენების სათავე-ნაგებობებისა და შიდა გაყვანილობის მიმდინარე რემონტი;
- ქლორირება და ფილტრაცია;
- წყალსადენების რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

- აღდგენილი და რეაბილიტირებული წყალსადენები;
- ქალაქის, დაბისა და სოფლების მოსახლეობის ეკოლოგიურად სუფთა და უწყვეტი წყალმომარაგება.

პროგრამა (1.4): მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 04)

პროგრამის აღწერა:

- ქალაქ ქობულეთში, სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობა.
- მუნიციპალიტეტის შენობა-ნაგებობის სარემონტო და კეთილმოწყობილი სამუშაოები.
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა.
- სპეც. ტექნიკის შეძენა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

- კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა.
- ქალაქის იერსახის შენარჩუნება;

პროგრამა (1.5): სანიაღვრე არხებისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა- რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 05)

პროგრამის აღწერა:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საკანალიზაციო სისტემების მოწყობა;

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

- საკანალიზაციო სისტემების გამართული ქსელები.

პრიორიტეტი (2): დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

პრიორიტეტის აღწერა (სამოქმედო გეგმა):

დაცული სანიტარულ ჰიგიენური ნორმები, მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებების განხორციელება, ნაგავშემკრები კონტეინერების შეძენა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიის სეზონური და მრავალწლიანი დეკორატიული მცენარეებით გაფორმება. ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტროტუარების, სკვერებად და პარკებად დარეგისტრირებული ნაკვეთების მოვლა-პატრონობა.

კოდი	დასახელება	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3 020,7	3 399,5	3 445,6	3 555,3
03 01	სანიტარული დასუფთავების ღონისძიებები	2 637,2	2 963,1	3 007,7	3 109,2
03 02	გამწვანების ღონისძიებები	383,5	436,4	437,9	446,1

**პროგრამა (2.1): სანიტარული დასუფთავების ღონისძიებები
(პროგრამული კოდი 03 01)**

პროგრამის აღწერა:

- სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა;
- ქალაქის, დაბისა და თემის ცენტრების ყოველდღიური დასუფთავება;
- მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სარდაფების, ბუნკერებისა და გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება;
- დიდთოვლობის შემთხვევაში გზების თოვლისაგან გათავისუფლება;
- ნაგავშემკრები კონტეინერის შეძენა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

- ქალაქის, დაბისა და თემის ცენტრებში ეკოლოგიური და სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება;
- ქალაქის ქუჩებსა და სკვერებში, თემის ცენტრებში სისუფთავის დაცვა, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობა, მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და მისი სტუმრებისათვის ჯანსაღი და უსაფრთხო ეპიდემიოლოგიური გარემოს უზრუნველყოფა.

პროგრამა (2.2): გამწვანების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის აღწერა:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიის სეზონური და მრავალწლიანი დეკორატიული მცენარეებით გაფორმება;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტროტუარების, სკვერებად და პარკებად დარეგისტრირებული ნაკვეთების მოვლა-პატრონობა, გაცელვითი და დაწამლვითი სამუშაოები;
- მოვლა-პატრონობა მრავალწლოვანი ხეების და მარად მწვანე ხე მცენარეების.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

- გამწვანებული ტერიტორია

პრიორიტეტი (3): განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 00)

პრიორიტეტის აღწერა (სამოქმედო გეგმა):

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით პრიორიტეტულია, როგორც დაწყებითი და ზოგადი განათლება, ასევე სკოლამდელი განათლება, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებებია და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებები, მშენებლობა-რეაბილიტაცია და სასწავლო პროცესის ხელშეწყობა.

(ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
04 00	განათლების ხელშეწყობა	8 804,3	6 766,3	5 573,8	4 628,6
04 01	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	8 804,3	6 766,3	5 573,8	4 628,6

პროგრამა (3.1): სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის აღწერა:

- პატარების გონებრივი და ზნეობრივი განვითარების მიზნით ბავშვთა ბაღებში ნორმალური პირობების უზრუნველყოფა;
- ბავშვების ჯანმრთელობაზე ზრუნვა და სწორი ფიზიკური განვითარება.
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მოვლა-შენახვა;

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

- რეაბილიტირებული და აშენებული საბავშვო ბაღები;
- მშობლების (მუშა-ხელის) სამუშაო დროის ზრდა;
- ჯანმრთელი და გონებრივად განვითარებული მომავალი თაობა.

პრიორიტეტი (4): კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდობისა და სპორტის სფეროს ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 00)

პრიორიტეტის აღწერა (სამოქმედო გეგმა):

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის კულტურული და სპორტული განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული და სპორტული, სკოლისგარეშე განათლების და სახელოვნებო დაწესებულებების მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას (რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება), ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისებას.

(ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
05 00	კულტურის, რელიგიის, ახალგაზრობისადასპორტის სფეროს ხელშეწყობა	2 318,2	2 855,8	2 574,3	2 588,1
05 01	სპორტის სფეროს ხელშეწყობა	401,2	733,0	445,0	447,0
05 02	კულტურის, რელიგიისა დაახალგაზრობის სფეროს განვითარების ხელშეწყობა	1 917,0	2 122,8	2 129,3	2 141,1

პროგრამა (4.1): სპორტის სფეროს ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის აღწერა:

- სკოლის გარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა;
- სპორტული ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება;
- ადგილობრივი და რესპუბლიკური მნიშვნელობის ღონისძიებებში მონაწილეობა, გამარჯვებულ სპორტსმენტთა დაჯილდოება შესაბამისი სახეობების მიხედვით (თასებით, მედლებით, დიპლომებითა და სხვა ფასიანი საჩუქრებით);
- სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია;
- სპორტული საკლუბო გუნდის მხარდაჭერა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

- საზოგადოების ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება;
- სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში ადგილობრივი მოზარდების მონაწილეობა და გაუმჯობესებული სპორტული შედეგები.

პროგრამა (4.2): კულტურის, რელიგიისა და ახალგაზრდობის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის აღწერა:

- სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა;
- ქობულეთის კულტურის ცენტრის და მასთან არსებული შემოქმედებითი და სანახაობითი კოლექტივების ხელშეწყობა, მათი სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობა;
- სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება;
- ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

- მოზარდთა სახელოვნებო განათლებით დაინტერესება;
- უძველესი ქართული ფოლკლორის შენარჩუნება;
- კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- ახალგაზრდების ინტელექტუალური, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის ამაღლება;
- სხვადასხვა ღონისძიებებში აქტიურად ჩართული ახალგაზრდები.

პრიორიტეტი (5): მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

პრიორიტეტის აღწერა (სამოქმედო გეგმა):

მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი და სხვადასხვა კატეგორიის მოსახლეობისათვის სამედიცინო და სხვადასხვა სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას, რომლებიც მთლიანობაში მოსახლეობის ჯანმრთელობასა და სოციალურ მდგომარეობას გააუმჯობესებს.

(ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1 200,0	1 180,6	1 180,6	1 180,6
06 01	ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები	732,2	687,9	687,9	687,9
06 02	სოციალური დაცვის უზრუნველყოფა	467,8	492,7	492,7	492,7

პროგრამა (5.1): ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამის აღწერა:

- თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის;
- ფენილ კეტონურიით დაავადებულ პირთა სამკურნალო საშუალებების კომპენსაციით უზრუნველყოფა;
- ა(ა)იპ "ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალურისერვისების ცენტრი";
- სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება;
- COVID-19 ით ინფიცირებულთა ოჯახების დახმარება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

- დაავადებული პაციენტები უზრუნველყოფილნი არიან სპეციფიკური მედიკამენტებით;

- შემცირებულია დაავადებულთა გართულებების შემთხვევები;
- შემცირებულია ბავშვთა და მოზრდილთა ავადობისა და დაინვალიდების შემთხვევები.;
- უზრუნველყოფილია დაავადების სტაბილიზაცია;

პროგრამა (5.2): სოციალური დაცვის უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამის აღწერა:

- 5 და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვთა) ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა;
- ომის მონაწილეებზე და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზებისა და დახმარების პროგრამა;
- დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარების პროგრამა;
- უმწეო გარდაცვლილის ოჯახებზე ერთჯერადი დახმარება;
- მუნიციპალური უფასო სასადილო;
- დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების ხელშეწყობა;
- ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის/ რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა ტრანსპორტირების ხელშეწყობა;
- ცალკეული სოციალური კატეგორიის ოჯახების გაზიფიცირება;
- მესამე და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

ქვეპროგრამის ფარგლებში მოსარგებლე პირთა ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;

- ომის ვეტერანთა წახალისება;
- ვეტერანების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება;
- მრავალშვილიანი ოჯახების ხელშეწყობა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება;
- დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება;
- უდედმამო ბავშვთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- სოციალურად დაუცველი ოჯახების მდგომარეობის გაუმჯობესება;